

შპს ეგა 2007

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისათვის

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	940632	1388457	1032566
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	417751	452188	488781
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	6686	8087	4866
მარაგები	2086748	1791752	2041651
მზა პროდუქცია			
სხვა	2086748	1791752	2041651
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	20	45	35
სხვა არამატერიალური აქტივები	270	523	776
ძირითადი საშუალებები	3543867	2873581	2960695
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	6995974	6514633	6529370
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	1296782	1460290	1265644
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	3537	88575	15635
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	300850	184431	177440
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	648484	343432	530336
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	4270	5463	5022
სულ ვალდებულებები	2253923	2082191	1994077
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3524814	3215205	3318056
გადაფასების რეზერვი	1215237	1215237	1215237
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	4742051	4432442	4535293
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6995974	6514633	6529370
სულ მოკლევადიანი აქტივები	3451818	3640529	3568532
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1605419	1738759	1464374
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები			



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	10889236	10519538
საქონლის გაყიდვიდან	10868437	10502487
მომსახურების გაწვიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა	20799	17051
გაყიდვების თვითღირებულება	-7464267	-7341308
საწყისი მარაგები		
საერთო მოგება	3424969	3178230
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-409614	-367967
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-114594	-115010
საპროცენტო შემოსავალი	5387	5289
საპროცენტო ხარჯი	-47776	-27396
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-216668	-270474
სულ საოპერაციო ხარჯები	-783265	-775558
საოპერაციო მოგება	2641704	2402672
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით		
ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	3293	144871
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		
განგრძობითი ოპერაციებიდან	2644997	2547543
მოგების გადასახადის ხარჯი	-350308	-398341
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	2294689	2149202
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)		
გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების		
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ		
გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	2294689	2149202
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4432442	4535293
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის		
გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის		
გაზრდა')		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-1985080	-2252053
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4742051	4432442
კვლევისა და განვითარების ხარჯები		



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-447825	355891
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-447825	355891
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1388457	1032566
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	940632	1388457



შპს ეგა 2007

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ეგა 2007 ს/კ 202359697 (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2006 წლის 24 ნოემბერს. კომპანიის მფლობელები არიან ფიზიკური პირი თეიმურაზ მამედოვი (პ# 01023004950 33,4 % წილით), ფიზიკური პირი ალიკ ალიევი (პ# 20001006209 33,3% წილით), ფიზიკური პირი გოჩა ალიევი (პ# 20001020855 33,3% წილით)

კომპანიის დირექტორი ალიკ ალიევი პ# 20001006209

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო საქონლის შპალერის იმპორტი, საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია (ასევე ფაქტიური) საქართველო, ქ. თბილისი, იუმაშევის ქ №10

საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება

საწარმოს არ გააჩნია შვილობილი საწარმოები.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანია სტაბილურად ახერხებს ეკონომიკური საქმიანობის წარმოებას, ი მ პ ო რ ტ ს ძ ი რ ი თ ა დ ა დ უკრაინიდან და რუსეთიდან ანხორციელებს, კომპანიის მხრიდან ყოველთვიურად ხდება ქვეყნის მასშტაბით

იმპორტირებული შპალერის მონაცემების ანალიზი და ბაზრის 85 % უკრაინიდან და ბაზრის 10% რუსეთიდან სტაბილური მონაცემია. რის საფუძველზეც კომპანიაც სტაბილურად ახორციელებს საერთო მოგების მარჟის შენარჩუნებას. კომპანიას გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი, სესხის გამოყენება სჭირდება როგორც ყოველთვის ძირითადი საშუალების შესაძენად, კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს თან მზარდი რიცხვებით მთელი მისი დაარსებიდან. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა.

აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2025 წლის 28 სექტემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან“

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი		
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2,6894	2,9753
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8068	2,9306

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი ნაწილდება ადმინისტრაციულ და მიწოდების ხარჯებზე აქტივების ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
-----------------------------	-------------------------------------

შენობა ნაგებობა	20-25
ოფისის აღჭურვილობა	5-8
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10
ელექტრო და სხვა მოწყობილობა	7-10

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურებ ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 10 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების

ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო და საცალო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოიდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგრვის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებული მოგების განაწილებისას, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში, ხდება წინა წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ მოგებაზე ფაქტიურად დარიცხულ მოგების გადასახადს. აღნიშნული აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა საადრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ

რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობაში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცავს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

შპს ეგა 2007 202359697

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	1	940,632	1,388,457
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	417,751	452,188
მარაგები	3	2,086,748	1,791,752
საგადასახადო აქტივები		-	-
გაცემული ავანსები	2	6,686	8,087
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2	20	45
		3,451,837	3,640,529
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	3,543,867	2,873,581
არამატერიალური აქტივები		270	523
		3,544,137	2,873,581
მთლიანი აქტივები		6,995,974	6,514,633
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	1,296,782	1,460,290
საგადასახადო ვალდებულებები		3,537	88,575
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი, წლის წარდგენილ მონაცემში ლარი ეწერა გრძელვადიან სესხებში)	6	300,850	184,431
გადასახდელი დივიდენდი		-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		4,270	5,463
		1,605,439	1,738,759
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	6	648,484	343,432
		648,484	343,432
მთლიანი ვალდებულებები		2,253,923	2,082,191
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,524,814	3,215,205
გადაფასების რეზერვი		1,215,237	1,215,237
		4,742,051	4,432,442
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,995,974	6,514,633

**სრული შემოსავლების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის**

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	7	10,868,437	10,502,487
სხვა		20,799	17,051
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7,464,267)	(7,341,308)
საერთო მოგება		3,424,969	3,178,230
სხვა შემოსავლები	8	3,293	3,226
მიწოდების დანახარჯები	9	(7,066)	(413)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	10	(687,878)	(630,387)
სხვა შემოსულობები/(ზარალი)	11	5,387	5,289
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან	12	(91,943)	(8,402)
საოპერაციო მოგება		2,646,762	2,547,543
	13	-	-
მოგება დაბეგვრამდე		2,646,762	2,547,543
მოგების გადასახადი		(350,308)	(398,341)
პერიოდის მოგება		2,296,454	2,149,202

შენიშვნა 1

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	12/31/2024	12/31/2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	93,947	93,775
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	82,021	72,629
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	604,644.00	1,127,211
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	157,572.00	94,842
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,448.00	-
სულ	940,632	1,388,457

შენიშვნა 2

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო მოთხოვნები	418,076	452,188
გაცემული ავანსები	6,341	8,087
სხვა მოთხოვნები	20	45
მოთხოვნა დაკავშირებული მხარის მიმართ (შენიშვნა 13)	-	-
სულ	424,437	460,320

სავაჭრო მოთხოვნები არ არის გაუფასურებული.

შენიშვნა 3

მარაგები

	12/31/2024	12/31/2023
საქონელი საწყობში	2,086,748	1,656,552
საქონელი გზაში		135,200
სულ	2,086,748	1,656,552

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 7 464 267 ლარი (2023 წელს 7 341 308 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2023 წელს 0 ლარი). ჯგუფის მთელი არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით სს პროგრედიტბანკისგან აღებული სესხის სანაცვლოდ.

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
სავაჭრო ვალდებულებები	1,296,782	1,460,290
მიღებული ავანსები	35	1,005
სხვა ვალდებულებები	4,235	4,458
სულ	1,301,052	1,465,753

შენიშვნა 6

მიღებული სესხები

<i>მოკლევადიანი სესხები</i>	12/31/2024	12/31/2023
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	300,850	184,431
სულ მოკლევადიანი სესხები	300,850	184,431

<i>გრძელვადიანი სესხები</i>	12/31/2024	12/31/2023
გრძელვადიანი სესხები	648,484	343,432
სულ გრძელვადიანი სესხები	648,484	343,432

სულ სესხები	949,334	527,863
--------------------	----------------	----------------

ჯგუფის გრძელვადიან სესხებს წარმოადგენს ბანკებისგან მიღებული სესხები: სესხი რომელიც დენომინირებულია დოლარში . საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიური ეფექტური 4.71%-ს, სესხის დაფარვის ვადაა 2026 წლის სექტემბრის ჩათვლით. სესხი, რომელიც დომინირებულია ლარში საპროცენტო განაკვეთი ეფექტური 11.6 % -ს დაფარვის ვადა 2029 წლის სექტემბერი. სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის ძირითადი საშუალებებით და ჯგუფის არსებული და სამომავლო მოძრავი ქონებით.

შენიშვნა 7

ამონაგები

	12/31/2024	12/31/2023
საქონლის რეალზაციიდან მიღებული ამონაგები	10,868,437	9,910,796
ამონაგები იჯარიდან	20,799	17,333

სულ	10,889,236	7,728,127
-----	------------	-----------

შენიშვნა 8
სხვა შემოსავლები

	12/31/2024	12/31/2023
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი	-	-
უსასყიდლოდ მიღებული მარაგები	3,293	3,226
სულ	3,293	3,226

შენიშვნა 9
მიწოდების ხარჯები

	12/31/2024	12/31/2023
ტრანსპორტირების ხარჯი რეკლამის ხარჯი	7,066	413
სულ	7,066	413

შენიშვნა 10
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	12/31/2024	12/31/2023
შრომის ანაზღაურება	(409,614)	(367,967)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(114,594)	(115,010)
ქონების გადასახადის ხარჯი	(29,165)	(30,201)
რეკლამის ხარჯი	-	(1,766)
საბანკო ხარჯი	(23,561)	(20,245)
დაცვის ხარჯი	(610)	(610)
დაზღვევის ხარჯი	(6,082)	(4,711)
კომუნიკაციის ხარჯი	(4,929)	(4,949)
სამეურნეო ხარჯი	(26,343)	(25,948)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(4,068)	(5,508)
საკანცელარიო ხარჯი	(697)	(555)
იჯარის ხარჯი	-	-
მივლინების ხარჯი	(3,780)	(10,705)
კომპიუტერის ხარჯები	(111)	(85)
საპროცენტო ხარჯი	(47,776)	(27,396)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(16,548)	(14,731)

შენიშვნა 11

სხვა საპროცენტო შემოსავლები

	12/31/2024	12/31/2023
ბანკის ანაზრის ანგარიშზე მიღებული პროცენტები	4,588	5,289
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხიდან მიღებული პროცენტები	799	-
სულ	5,387	5,289

შენიშვნა 12

მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან

	12/31/2024	12/31/2023
მოგება/(ზარალი) საბანკო ანგარიშებზე	(40,245)	3,206
მოგება/(ზარალი) მომწოდებლებთან ანგარიშსწორებისას	(7,197)	(14,703)
მოგება/(ზარალი) ვალის გადაფასებიდან	(27,728)	(4,485)
მოგება/(ზარალი) სესხის გადაფასებიდან	(16,773)	7,580
სულ	(91,943)	(8,402)

შენიშვნა 13

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

	12/31/2024	12/31/2023
დაკავშირებული მხარე (340.87 კვ.მ მიქირავებული ფართი)	20,799	14,467
არადაკავშირებული მხარე (0 კვ.მ კვ მიქირავებული ფართი)	-	5,653
სულ	20,799	20,120

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულია გაყიდვების მენეჯერი, რომელიც ითვლება დაკავშირებულ პირად.
 საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები განხორციელებულია საბაზრო ფასებით, კერძოდ საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია ისეთივე პირობებით, როგორც იყო არადაკავშირებულ პირებთან 2023 წელს.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული
ანაზღაურება

	12/31/2024	12/31/2023
შრომის ანაზღაურება მთლიანად	195,058	143,661
სულ	195,058	143,661

შენიშვნა 14

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 568 421 ლარის დივიდენდი. კომპანიამ დაიწყო ოფისის და სასაწყობო ფართის მშენებლობა, (მშენ. ვადა წლის ბოლომდე) რომელშიც ჯერჯერობით გადაიხადა 482 201 ლარი.
2024 წლის 31 დეკემბრიდან ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე პერიოდში კომპანიის მიერ სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022	2,000	4,630,675	4,632,675
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება	-	2,051,820	2,051,820
გაცემული დივიდენდი	-	(2,252,053)	(2,252,053)
ნაშთი 31.12.2023	2,000	4,430,442	4,432,442
კაპიტალის ზრდა	-	-	-
კაპიტალის შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება	-	2,296,454	2,296,454
გაცემული დივიდენდი	-	(1,985,080)	(1,985,080)
ნაშთი 31.12.2024	2,000	4,740,051	4,742,051

შენიშვნა: 4							
ძირითადი საშუალებები							
თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა-ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ელექტრო მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა	ავტოტრანსპორტი	სულ
31 დეკემბერი 2023	473,120	2,349,847	-	6,485	17,854	26,275	2,873,581
შემოსვლა 2024	621,000	-	162,038	441	1,423	-	784,902
გადაფასება		-		-	-	-	-
გასვლა				-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	1,094,120	2,349,847	162,038	6,926	19,277	26,275	3,658,483
ცვეთა და გაუფასურება							
31 დეკემბერი 2023	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა		(106,557)	-	(1,182)	(3,196)	(3,406)	(114,341)
გაუფასურება		-					-
გასვლა					(68)		(68)
31 დეკემბერი 2024	-	(106,557)	-	(1,182)	(3,264)	(3,406)	(114,409)
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	473,120	2,349,847	-	6,485	17,854	26,275	2,873,581
31 დეკემბერი 2024	1,094,120	2,243,290	162,038	5,744	16,081	22,869	3,544,142
ჯგუფის ძირითადი საშუალებები (მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები), განსაზღვრული არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით/გირავნობით სს პროგრედიტბანკის სასარგებლოდ.							